ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 552

"21" ნოემბერი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი № 147-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.16.01.030.001) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „დი რომასთვის" (საიდენტიფიკაციო №406216027) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №147-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.01.030.001) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დი რომასთვის" (ს/ნ. 406216027) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 1 ნოემბრის №23.1641.1830 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №147-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.16.01.030.001) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „დი რომასთვის" (საიდენტიფიკაციო №406216027) გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4 560 (ოთხი ათას ხუთას სამოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე